ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და როსტოვის არმიელთა გუნდის გუშინწინდელი საფეხბურთო მატჩის მომენტი. მეკარე ლ. კუდასოვი და მცველები ებრძვიან გარღვევაზე გასულ გ. ნოდიას (ზოლებიან მაისურში).

მ. ზარგარიანის ფოტო.

(ამ მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

## ჩინებულად!

ანკარა, 24 სექტემბერი. საბჭოთა რაპირისტმა ქალებმა ს. ჩირკოვამ, ა. ზაბელინამ, ე. ბელოვამ, გ. გოროხოვამ და ტ. სამუსენკომ აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიხვეჭეს. საბჭოთა გუნდმა ფინალში ანგარიშით 9:6 სძლია რუმინეთის ნაკრებს. ეს უმაღლესი ჯილდოების უკვე მეხუთე კომპლექტია, თურქეთის დედაქალაქში რომ მოიპოვეს სსრ კავშირის ნაკრების წარმომადგენლებმა.

მაგრამ აი, დაშნით მოფარიკავეთა ნახევარფინალები საბჭოთა გუნდის მონაწილეობის გარეშე ჩატარდება: სსრ კავშირის მოფარიკავეები დამარცხდნენ პოლონეთის ნაკრებთან — 6:7 (სამი შეხვედრა ორმხრივი წაგებებით აღინიშნა).

მაგრამ, მიუხედავად იმისა, როგორ დამთავრდება დაშნით მებრძოლთა გუნდური პირველობა, მთავარ ნადავლს — ეროვნებათა დიდ პრიზს საბჭოთა ნაკრები მიიღებს. ეს უკვე მეთერთმეტე ჩემპიონატია, რომელშიც სსრ კავშირის მოფარიკავეები პროგრამის ყველა სახეობაში ასპარეზობის ჯამში საერთო I ადგილზე გადიან.

მოფარიკავეთა გუნდები იბრძოდნენ. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა უნგრეთის ნაკრებმა, II ადგილზე გავიდნენ პოლონელები, ხოლო III — შვეიცარიელები.

ამრიგად, ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენების დიდი გამარჯვებით აღინიშნა, რომლებმაც 1958 წლიდან მოყოლებული მეთერთმეტედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი გუნდური ნადავლი — ეროვნებათა დიდი პრიზი.

გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ლ. საიჩუკმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა: „ჩვენების დიდი წარმატების მიუხედავად, პირველობისთვის ბრძოლა არასდროს ყოფილა ასეთი მძაფრი. ამჟამად სულ უფრო მეტი გუნდი აცხადებს სამართლიან პრეტენზიას მედლებზე. საბჭოთა მოფარიკავეები ჩინებულად გამოვიდნენ. ეს მარტო ვეტერანებს კი არ ეხებათ, არამედ ნაკრების დებიუტანტებსაც“.

• • •

ანკარა, 25 სექტემბერი. მოფარიკავეთა გუშინ დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებმა ტრიუმფალურ წარმატებას მიაღწია. მან 103 ქულა დააგროვა, რაც უწინდელ მსოფლიო ჩემპიონატებში ყველა გამოსვლის სარეკორდო მაჩვენებელია. საბჭოთა მოფარიკავეებმა ოქროს 5, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 1 მედალი მოიგეს. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი გ. გოროხოვა და მინსკელი ა. ნიკანჩიკოვი, ესპადრონისტთა, რაპირისტ ვაჟთა და ქალთა გუნდები.

შეჯიბრების ბოლო დღეს დაშნით

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 189 (4183)

1970 წ. 26 სექტემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

● მოსკოვი, 24 სექტემბერი. დღეს შერემეტიევოს აეროპორტში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს კოლუმბუსიდან (აშშ) დაბრუნებულ საბჭოთა ძალოსნებს, რომლებმაც მეთოთხმეტედ მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონის სახელი გუნდურ ჩათვლაში. გამარჯვებულებმა სამშობლოში ჩამოიტანეს ოქროს 16 მედალი. კოლუმბუსის ფიცარნაგზე მათ მსოფლიოს 7 რეკორდი დაამყარეს. თავიანთ წონით კატეგორიებში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვ. კურენცოვი, გ. ივანჩენკო, ვ. კოლოტოვი, ი. ტალტსი და ვ. ალექსეევი. შემდეგ სახელოვან ათლეტებს ალტაცებული შეხვედრა გაუმართეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში. მაღალი სპორტული მაჩვენებლებისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭათ მსოფლიო ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს გ. ივანჩენკოს (რიგის „დინამო“) და ვ. კოლოტოვს (პერვოურალსკის „ტრუდი“).

● სოფია, 24 სექტემბერი. შავი ზღვის სანაპირო ახალ საკურორტო კომპლექს „ალბენაში“ გამართული საერთაშორისო ტურნირი დაუმარცხებლად განვლო საბჭოთა მოჭადრაკემ ა. სუეტინმა, რომელმაც 9 ქულა დააგროვა 11-დან. მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ა. ზაიცევმა VI-VII ადგილები გაიყო პოლონელ რ. გროლბუევსკისთან — 5-5 ქულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლები.

● კიევი, 24 სექტემბერი. უკრაინის დედაქალაქის პირად პირველობაში დიდ წარმატებას მიაღწია მშვილდოსანმა ქალმა, ექიმმა ნ. ბოკაჩმა. ოთხ დისტანციაზე (70, 60, 50 და 30 მ) სროლის ჯამში მან 1207 ქულა დააგროვა 1440 შესაძლებლიდან. ასეთი მაღალი შედეგისთვის ჯერ არც ერთ მშვილდოსან ქალს არ მიუღწევია სსრ კავშირში.

● ვროცლავი, 24 სექტემბერი. აქ დამთავრდა სოციალისტური სახელმწიფოების თავდაცვითი ორგანიზაციების საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. I ადგილი და მთავარი პრიზი — დოსააფის თასი სსრ კავშირის ნაკრებმა დაისაკუთრა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და კუბის მსროლელები.

● მიშკოლცი, 24 სექტემბერი. ახალგაზრდა მოკრივეთა I ევროპულ ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი 21 ქვეყნის 160-ზე მეტმა სპორტსმენმა გამოთქვა. როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სრული გუნდებით (11-11 სპორტსმენი) ასპარეზობას აპირებენ სსრ კავშირი, ბულგარეთი, გდრ, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, გფრ, უნგრეთი და სხვ. ჩემპიონატი უნგრეთის ამ ქალაქში 8-15 ნოემბერს გაიმართება.

● ტუნისი, 24 სექტემბერი. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის ბიურომ აქ გამართულ სხდომაზე ოფიციალურად დაამტკიცეს უკანასკნელ ორ წელიწადში დამყარებული ყველა მსოფლიო რეკორდი, მათ შორის, მოსკოველი ნ. პანკინის მიღწევა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში (1.05,8).

● პერტი, 24 სექტემბერი. ავსტრიელმა წყალმოთხილამურე ქალმა გ. ბოსმა შოტლანდიის აქ მიმდინარე ღია ჩემპიონატში 3 პირველი ადგილი დაიკავა: ივი უმაღლო იყო საწყლოსნო სლალომში, მარჯვედ აუარა გვერდი 34 წინაღობას ფიგურული სრიალის დროს და ყველაზე შორს (25,2 მ) გადახტა ტრამპლინიდან.

● კიოლნი, 24 სექტემბერი. გფრ-ისა და პოლონეთის მოკრივეთა აქ გამართული ტრადიციული, რიგით 22-ე მატჩი სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 6:4. გუნდების შემადგენლობაში ბევრი გამოჩენილი ათლეტი იყო. ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ე. კულეიმ (პოლონეთი) დაამარცხა გ. რუზიხი, ევროპის 1967 წლის ჩემპიონმა ჰ. სკშიპჩაკმა (პოლონეთი) — კონტინენტის 1965 წლის ჩემპიონი ი. ფრაინშტადტი, ევროპის „პირველმა ხელთათმანმა“ გ. მაიერმა (გფრ) — ზ. ზაკრჟევსკი.




## ფინალში — უდანაკარგოდ და დანაკარგით

სოფია, 24 სექტემბერი. ბულგარეთის 7 ქალაქში დღეს დამთავრდა ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების წინასწარი ტურნირები. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა ქვეჯგუფში თავისი ბოლო ორი შეხვედრა გამარჯვებით დაამთავრა, თანაც, ორივე მატჩი „მშრალი“ ანგარიშით (3:0) მოიგო კუბისა და გვინეის ნაკრებ გუნდებთან. ამ ქვეჯგუფში I ადგილი მოიპოვა გდრ-ის კოლექტივმა, II — სსრ კავშირის ნაკრებმა. ორივე გუნდი ფინალში გავიდა, მაგრამ გერმანელები ამ ეტაპს ორქულიანი მარაგით შეხვდნენ: როგორც ცნობილია, მათ წინასწარ ტურნირში სსრ კავშირის ნაკრები დაამარცხეს.

ქალთა წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩი სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო უნგრეთის გუნდს — 3:0 (15:4, 15:6, 15:10). სსრ კავშირის ფრენბურთელები ფინალში 2 ქულით შევიდნენ. ამ ჯგუფიდან მეორე ფინალისტია უნგრეთის გუნდი.

### საბჭოთა აზერბაიჯანის 50 წლისთავის აღსანიშნავად

## გუშინდელი და დღევანდელი დღე

კავკასიონის მთავარი ქედის მისადგომებთან მდებარე პატარა ქალაქის შექის სპორტულ მოედნებზე ქალთა მასობრივი შეჯიბრებები ჩატარდა. ახლა ასეთი ცნობები სენსაცია აღარ არის, — ამბობს ქალთა შორის სპორტული მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელი ზ. რზაევა. — უწინ კი სპორტსმენ ქალთა შეჯიბრებები აზერბაიჯანში საერთოდ არ იმართებოდა.

ქალთა სპორტული მოძრაობის განვითარება აზერბაიჯანში ზეინაბ-ხანუმის თვალწინ მისი აქტიური მონაწილეობით მოხდა. იგი პირველი ფიზკულტურის მასწავლებელი ქალი იყო აზერბაიჯანში.

— 1934 წელს, — იგონებს ზ. რზაევა, — თითქმის ბავშვი, ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი, ა. მაირამოვის სახელობის ქალთა კლუბში მიმიწვიეს სპორტული მუშაობის ხელმძღვანელად. მახსოვს, ჩემი მოწაფეები მოდიოდნენ ქმრების, მამების, ძმების თანხლებით. ბევრს პირისახე ჩადრით ჰქონდა დაფარული.

თავად ზეინაბიც უმალავდა მშობლებს, თუ ფიზკულტურას მისდევდა.

იმავე 1934 წელს, ნოემბრის დღესასწაულზე ფიზკულტურულ აღლუმში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მასწავლებლის პირველმა მოწაფეებმა — ასმა სპორტსმენმა ქალმა. უკვე ორი წლის შემდეგ აზერბაიჯანელი ს. კასუმოვა ამიერკავკასიის რეკორდსმენი გახდა ხელყუმბარის ტყორცნაში.

ახლა ზ. რზაევა ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების დეკანია.

— ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო რიცხვის თითქმის მესამედს ქალები შეადგენენ, — ამბობს რზაევა. — ბევრი მათგანი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შორეულ სოფლებში და რაიონებში მიდის სამუშაოდ. იქ ისინი ქმნიან გუნდებს, ხელმძღვანელობენ სექციებს, ფიზკულტურას აყვარებენ ათასობით მთიელ ქალიშვილს.

რესპუბლიკის მცხოვრები ყოველი მეოთხე ქალი ფიზკულტურას მისდევს. აზერბაიჯანელ სპორტსმენ ქალებს ახლა შეხვდებით საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში, დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეთა შორის. თავის დროზე 4×100 მეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად მსოფლიო რეკორდი დაამყარა ზ. ალესკეროვამ. ახლა იგი ნ. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკია. რამდენიმე წლის წინ მშობლიურ ბაქოში იუნიორ მოფარიკავეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელით დაბრუნდა კ. მირზოევა. ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფრენბურთელი ქალები საკავშირო შეჯიბრებათა ბრინჯაოსა და ვერცხლის პრიზიორები იყვნენ. ახლა ბაქოს ხელბურთელთა გუნდი რეალურ პრეტენზიას აცხადებს საპრიზო ადგილზე საკავშირო ჩემპიონატში. ამ გუნდის წევრები თ. მამედოვა, რ. შაბანოვა, ვ. მამედოვა ბევრჯერ გამოსულან საერთაშორისო შეჯიბრებებში.

რესპუბლიკის ყველაზე მასობრივი ქალთა ასპარეზობა — სპარტაკიადა აზერბაიჯანის ქალაქებში და სოფლებში ტრადიციად იქცა. მარტო წლეულს სტარტზე ათი ათასობით ფიზკულტურელი ქალი გამოვიდა.

ა. ნიკოლსკი.

(საკდესის კორ.).

ბაქო.

## კონგრესმა გადაწყვიტა

ახლახან ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა გადაწყვიტა 1972 წლის წინასაოლიმპიადო შესარჩევი ტურნირი მადრიდში გამართოს.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ვაჟთა გუნდები: ევროპიდან — ბულგარეთის, ფინეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ისლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნორვეგიის, შვეიცარიის, სსრ კავშირის, ესპანეთის, ავსტრიის, პოლონეთის, დიდი ბრიტანეთისა და პორტუგალიის კოლექტივები; ამერიკიდან — აშშ-ს, არგენტინისა და მექსიკის წარმომადგენლები; აზიიდან — სენეგალის, ტუნისისა და მაროკოს სპორტსმენები.

ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლებას სულ 16 ქვეყნის გუნდები მიიღებენ. აქედან რვამ ფინალის საგზურები წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა. ესენი არიან რუმინეთის, გდრ-ის, იუგოსლავიის, დანიის, გფრ-ის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის კოლექტივები. დანარჩენი 8 საგზური მადრიდში გათამაშდება.

გარდა ამისა, კონგრესმა გადაწყვიტა, სად უნდა გაიმართოს ხელბურთელთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატები: ვაჟთა გუნდები იასპარეზებენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ქალები — ჰოლანდიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძლეოსნობა: ახალი სახელები

სპორტული ზაფხულის ფინიშზე საბჭოთა მძლეოსნებმა მინსკში გამართეს ჩემპიონატი. რაღაც არ მახსოვს ტურნირი, სადაც კონფლიქტი გამოცდილ ვეტერანებსა და გუშინდელ იუნიორებს შორის ასე მკვეთრად ყოფილიყოს გამოხატული. თუმცა ეს სავსებით გასაგებია. გამოცდილმა სპორტსმენებმა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე არა მარტო ტონს იძლეოდნენ მძლეოსნურ სახეობებში, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, თავიანთი ავტორიტეტითაც ამარცხებდნენ ნაკლებად გამოცდილ პარტნიორებს, ახლა ნელ-ნელა პოზიციები დათმეს და ახალგაზრდობა ცდილობს გამოიყენოს ეს. ყოველ შემთხვევაში, ი. ტერ-ოვანესიანის მნიშვნელოვანი მარცხი, ლ. სამოტიოსოვას არც ისე დამაჯერებელი გამოსვლა შემთხვევითი არ არის. არც ის მიმაჩნია მოულოდნელად, რომ ახალგაზრდა ლენინგრადელი საშუალო მანძილებზე მორბენალი ნ. ნალივაიკო მინსკის ტურნირის შედეგების მიხედვით პირველად შეიყვანეს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში.

რასაკვირველია, 30 წლის ასაკის სპორტსმენებიდან ზოგიერთმა შეინარჩუნა პოზიციები, განსაკუთრებით, იმ სახეობებში, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას. მე მტყორცნელებს ვგულისხმობ, თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ დამაჯერებელი უპირატესობით აქაც მხოლოდ ე. გუშჩინმა გაიმარჯვა, ორი წლის მანძილზე ბრძოლის შემდეგ, იმ კრიზისის შემდეგ, რომელიც საბჭოთა ბირთვის მკვრელთა ლიდერმა გადაიტანა, მან კვლავ მიაგნო თავის თავს და ბრწყინვალე შედეგი მოიპოვა — 20,18 მ. ეს სეზონის მეორე მიღწევაა მსოფლიოში. ი. ლუსისს, ა. ბონდარჩუკს, ვ. ლიახოვს გამარჯვება გაცილებით უფრო გაუჭირდათ.

გავეცნოთ ახალ ჩემპიონებს. 100 მეტრზე რბენაში 20 წლის ბაქოელმა სტუდენტმა ა. კორნელიუკმა აჯობა საბჭოთა მძლეოსნობის სახელგანთქმულ სპრინტერს, ევროპის ჩემპიონს ვ. ბორზოვს. კორნელიუკი ახალგაზრდაა, მაგრამ სპორტში უკვე საკმაოდ ცნობილია. ბოლო ხანებში იგი ხშირად ხვდებოდა ლიდერთა ჯგუფში, მაგრამ ასეთი წარმატება არ მოუპოვებია. კორნელიუკის მწვრთნელმა, ცნობილმა ბაქოელმა სპეციალისტმა ა. საფაროვმა მითხრა, რომ მისმა მოწაფემ შეიძლება, წლეულს თუ არა, გაისად მაინც დაიწყოს ვარჯიში 200-მეტრიან დისტანციაზეც. საინტერესოა, რომ კორნელიუკის მამა თავის დროზე აზერბაიჯანში ცნობილი ძალოსანი, რესპუბლიკის ჩემპიონი და რეკორდსმენი იყო. შვილს მამისგან გამოჰყვა სპორტის სიყვარული, მაგრამ ძალოსნობას მძლეოსნობა ამჯობინა.

სპეციალისტები ძალიან დააინტერესა კიეველი ათჭიდელის ლ. ლიტვინენკოს (იგი 21 წლისაა) მოულოდნელმა გამარჯვებამ. მან 7.900 ქულა დააგროვა. ამას გარდა, ჭოკით ხტომის გარდა ლიტვინენკოს არც ერთ სახეობაში არ უჩვენებია თავისი პირადი რეკორდი. ეს ნიშნავს, რომ ამ სპორტსმენისგან მომავალში მეტს უნდა ველოდეთ. არ დავივიწყოთ, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე ჯერ კიდევ ორი წელია. ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა 21 წლის ს. ბუდალოვის გამარჯვება სიმაღლეზე ხტომაში. მართალია, მისი მწვრთნელი, პროფესორი ვ. დიაჩკოვი დიდი ხანია ამბობს, რომ ბუდალოვი ძალიან ნიჭიერი, უაღრესად პერსპექტიული სპორტსმენია, მაგრამ მაინც ფიქრობდნენ, რომ მინსკში I ადგილისთვის იბრძოლებდა ორი სპორტსმენი: ევროპის ჩემპიონი ვ. გავრილოვი და ლიტველი კ. შაპკა. ეს უკანასკნელი სულ ახლახან ჩადგა ლიდერთა რიგებში და ახალი, მოდაში შემოსული „ფლოპის" ყაიდით ხტება. შაპკას ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგი (221 სმ) აქვს ნაჩვენები, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატში, სადაც პირველად შეხვდა სერიოზულ მეტოქეობას, ისუსტა. გავრილოვი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ერთხელ გავრილოვს ვკითხე, რა აზრისაა ზურგით წინ ხტომის უჩვეულო სტილზე.

— ერთი შეხედვით ძალიან მიმზიდველი ხერხია, — მითხრა მან და იქვე დასძინა: — თუმცა, ჯერ „ფლოპის" სტილი რომ გაჩენილიყო და შემდეგ გადავლებით ხტომის ყაიდა, ალბათ ამ უკანასკნელზეც იმავე აზრისა იქნებოდნენ.

თავი გამოიჩინა 19 წლის ტ. კონდრაშოვამ, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. იგი უჩვეულოდ მრავალმხრივი სპორტსმენია. ადრე კონდრაშოვა თარჯმორბენალი იყო, ახლა კი საბჭოთა კავშირში უძლიერესია 200 მეტრზე რბენაში. მას, როგორც ჩანს, საბოლოოდ ჯერ კიდევ არ აურჩევია თავისი პროფესია მძლეოსნობაში, ჯერჯერობით ყველგან ცდის ძალას, სადაც შეუძლია, და უნდა ითქვას, საკმაო წარმატებითაც.

ჩემპიონებიდან ბევრი ძალიან პოპულარულია, მაგრამ ვეტერანად მაინც არ ჩაითვლება. აქ მინდა დავასახელო ძლიერი საბჭოთა საშუალო მანძილებზე მორბენალი ე. არჟანოვი. როცა ამბობდა, როგორ ესახება 2000 წლის რეკორდსმენი საშუალო მანძილებზე მორბენლის ტიპი, ცნობილმა ინგლისელმა მორბენალმა, ევროპის 1958 წლის ჩემპიონმა მ. როუსონმა ერთხელ შენიშნა: „მომავლის რეკორდსმენები უაღრესად მიზანსწრაფული, შრომისმოყვარე და ინტელიგენტი ადამიანები იქნებიან".

მე ვფიქრობ, არჟანოვი ყველა ამ თვისებას ფლობს. იგი ჯერ 21 წლისაა, მაგრამ უკვე აქვს მუსიკალური და ტექნიკური განათლება, ახლა კი კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას. არჟანოვი ჭეშმარიტი ინტელიგენტია და გამოირჩევა საკუთარი ძალის რწმენით, რაც ხელს უწყობს მის წარმატებას.

ისევ დაგვწყვიტეს გული სტაიერებმა. ლ. მიკიტენკო ჯერ ახალგაზრდაა (26 წლისა) გრძელ მანძილებზე რბენისთვის, მაგრამ საკმაო გამოცდილებაც აქვს. მიუხედავად ამისა, 5 ათას მეტრზე რბენაში მან მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი. ასევე წარუმატებლად გამოვიდა რ. შარაფეტდინოვი 10-კილომეტრიან დისტანციაზე. როგორც ჩანს, უნდა დავეთანხმოთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. კუცს, რომელიც გვარწმუნებს: „ჩვენი სტაიერები ძალიან გაიტაცა ტაქტიკურმა თამაშმა. ისინი მაღალ შედეგზე არ ფიქრობენ, მარტო გამარჯვება სურთ და ამიტომაც ვერ მიაღწიეს ევროპისა თუ მსოფლიო რეკორდს".

სეზონი ჯერ არ დამთავრებულა. 28 სექტემბერს ერფურტში დაიწყება საბჭოთა მძლეოსნებისთვის მნიშვნელოვანი შეჯიბრება: სსრ კავშირის, გდრ-ისა და პოლონეთის მატჩი. საბჭოთა გუნდის შემადგენლობა რამდენადმე შეცვლილია. შეძლებენ თუ არა ნაკრების ახალბედები მეტოქეობა გაუწიონ ევროპული მძლეოსნობის დღევანდელ ლიდერებს — გდრ-ის სპორტსმენებს? შეიძლება ისინი ჯერ არ არიან მზად საამისოდ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მიუნხენის ოლიმპიადამდე კიდევ დიდი დროა, ახალგაზრდა მძლეოსნები კი უკვე ცდილობენ წარმატების გზაზე დადგომას, გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ მინსკის ტურნირის გაკვეთილები.

**ა. სრებნიცკი,**
ახალი ამბების სააგენტოს სპორტული მიმომხილველი.



## სპარტაკიადისთვის ემზადება

რუსუდან სიხარულიძეზე ჩვენს პრესაში ბევრი დაწერილა. ნიჭიერი გოგონა მუყაითი შრომით სულ მალე ჩადგა სსრ კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა რიგებში. მან ბევრი წარმატება მოიპოვა მშობლიური თუ საზღვარგარეთის ქალაქების სარბიელზე. დრო დროს მისდევდა და რუსუდანის სპორტული ოსტატობა სულ მაღლა მიიწევდა, ქართველი გოგონა დაანაღვლიანა ამას წინათ დამთავრებულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მოულოდნელმა წარუმატებლობამ. მაგრამ სპორტსმენი რის სპორტსმენია, თუ ფარ-ხმალს დაყრის. ამ შეჯიბრების შემდეგ რუსუდანმა გაათკეცებული ენერგიით განაგრძო მეცადინეობა. მას ხომ დიდი შეჯიბრება — ხალხთა V სპარტაკიადა ელის და მთელი ძალით უნდა იბრძოლოს საქართველოს ტანვარჯიშის პრესტიჟის დასაცავად. ამჟამად რ. სიხარულიძე ლესელიძეშია და სსრ კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად იწვრთნება. რუსუდანს არ უნდა სწავლაში ჩამორჩეს და თავისუფალ დროს წიგნებს ჩაკირკიტებს; არ უნდა ტანვარჯიშულმა იარაღებმა ხელის მტევნები დაუჩლუნგოს და, როცა დრო იშოვის, ფორტეპიანოს მიუჯდება.

ამ სურათებზეც რ. სიხარულიძის ვარჯიშისა და დასვენების მომენტებია აღბეჭდილი.

შ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლესელიძე.





### ჩოგბურთი

**კასპი**

საინტერესოდ მიმდინარეობდა ქვათახევის საბჭოთა მეურნეობის პირველობა და თასის გათამაშება ფეხბურთში. კარგად ითამაშეს სოფ. წინარეხის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ორივე შეჯიბრებაში I ადგილები დაიკავეს.

**ო. თაბაგარი.**

## უკვე მერამდენედ!

ჩატარდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „სპარტაკის", „დინამოს", „ბურევესტნიკის", „განთიადისა" და „ლოკომოტივის" გუნდები.

დაყოფილი სტარტით რბოლა 25 კილომეტრზე დინამოელმა ვ. ფეტისოვმა მოიგო. გამარჯვებულის დროა 38.15. რ. საიდხუჟინმა („ბურევესტნიკი"), შ. დაიაურმა („სპარტაკი") და ქ. ბაქრაძემ („დინამო") ერთნაირი დრო — 39.20 აჩვენეს. მათ II-IV ადგილები გაინაწილეს.

გუნდური რბოლის მონაწილენი 50-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ. აქ უძლიერესი გამოდგა „სპარტაკის" ველოსიპედისტთა კოლექტივი — 1:08.30. მეორე შედეგი ჰქონდა „დინამოს" — 1:09.20, მესამე — „განთიადს" — 1:10.30.

პროგრამის ბოლო სახეობა საერთო სტარტით 75 კილომეტრზე რბოლა იყო. ფინიშთან პირველი მივიდა ახალგაზრდა განთიადელი ვ. ბოგდანოვი — 1:47.00. II ადგილი წილად ხვდა სპარტაკელ ა. ხასიაურს, III — რ. საიდხუჟინს.

სამდღიანი ასპარეზობის შედეგად სამმა გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა. პირად პირველობაში მოპოვებული წარმატების მიხედვით გუნდური გამარჯვება მიეკუთვნა „სპარტაკს" (მწვრთნელი დ. გვეტაძე). II ადგილზე გავიდნენ „განთიადის", III — „დინამოს" ველოსიპედისტები.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატში მონაწილეობას თავი აარიდეს „შრომითი რეზერვებისა" და არმიის სპორტკლუბის გუნდებმა. ეს პირველი შემთხვევა რომ იყოს, არაფერს ვიტყოდით. სამწუხაროდ, ველოსპორტისადმი გულგრილობამ ამ ორგანიზაციებში ტრადიციის ხასიათი მიიღო.

**ა. გუნია,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

## მელიორატორთა წარმატება

ჩატარდა ფოთის ველოსიპედისტთა საქალაქო პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სპორტსაზოგადოებების, საშუალო სკოლებისა და ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის 80-მდე სპორტსმენი. პროგრამაში იყო ჯგუფური რბოლა 20 კმ-ზე. ყოველმა გუნდმა ასპარეზობაში 5 სპორტსმენი გამოიყვანა. ჩათვლაში 3 საუკეთესო შედეგი შედიოდა.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ I ადგილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს (მწვრთნელი დ. მელუანია). ამ კოლექტივმა მწვრთნელთა ჩათვლაში აჯობა „სპარტაკს".

საშუალო სასწავლებლებს შორის გაიმარჯვეს მე-8 სკოლის (ფიზკულტურის მასწავლებელი დ. ბაბილოძე) ველოსიპედისტებმა.

პირად ჩათვლაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა გ. აბრამიძემ.

**ბ. ბასილაია.**
(ჩვენი კორ.).
ფოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

# ასეა, როცა შინ ვთამაშობთ...

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 24 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:0 (0:0).

„დინამო“: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე (კუტივაძე), ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ასკ: კუდასოვი, სეროსტანოვი, გეტმანოვი, მირონოვი, აბრამოვი, ანტონოვი, ბუროვი, ესკოვი, ზინჩენკო, კუჩინსკასი, სილაგაძე.

მსაჯი გ. ბალდასაროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები — 2:2.

ყველა გუნდი, განურჩევლად რანგისა და ხარისხისა, შინ უკეთ თამაშობს, ვიდრე სხვის მინდორზე. ეს ფეხბურთის კანონია. მაგრამ ყოველგვარ საფეხბურთო კანონს აქვს თავისი საზღვარი და მასშტაბები. შინ უკეთ ითამაშო, ეს არ ნიშნავს სხვაგან უსუსური იყო და თავისებურ „განტევების ვაცს“ წარმოადგენდე არა მარტო უშუალო კონკურენტებისთვის, რომლებთანაც ერთი-ერთზე გაქვს საქმე და ბრძოლის სასწორი შეიძლება რაიმე მცირე დეტალმა გადაწონოს, არამედ მათთვისაც, ვინც გაცილებით უფრო დაბლა დგას თავისი კლასით და შესაძლებლობებით.

კომენტარი რად უნდა იმ ამბავს, რომ თბილისის „დინამოს“ მიმდინარე ჩემპიონატში სტუმრად არ მოუგია არც ერთი შეხვედრა, შინ კი, პირიქით, არც ერთი არ წაუგია? წაგება რაა. დინამოელებმა „ლოკომოტივის“ სტადიონზე 12 მატჩში აიღეს 24-დან 23 ქულა, 25 ბურთი გაიტანეს და სულ 3 გაუშვეს. რომელ გუნდს აქვს ასეთი მაჩვენებლები?

მაგრამ სხვის მინდორზე? 24 შესაძლებლიდან თბილისელებმა 18 ქულა დაკარგეს, სულ 7 ბურთი გაიტანეს და 17 მიიღეს.

შეიძლება ასეთი საოცარი კონტრასტი შემთხვევით მოხდეს? შემთხვევით შეიძლება ბურთი გაუშვა სადმე, ან ორიოდე მატჩში გიმუხთლოს ბედმა. ეს დასაშვებია, მაგრამ არ შეიძლება ერთი და იგივე გუნდი ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლუსზე იდგეს, როცა შინ გამოდის და როცა მეტოქის მინდორზე თამაშობს.

რაა ასეთი შეუსაბამო კონტრასტის მიზეზი? ასეთი რა მაგიური ძალა აქვს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის სათამაშო მინდორს ან მის ტრიბუნებზე მსხდარ მაყურებელს? მინდორში არაფერი ჯადო არაა ჩამარხული: ჩვეულებრივი, კარგად მოვლილი და შენახული საფეხბურთო მინდორია, ისეთი, როგორიც სხვაგან.

ტრიბუნები? მე არ მინდა ვაწყენინო ზოგიერთ გულშემატკივარს, მაგრამ მათი ნაწილი თამაშის დროს ისე იქცევა, რომ სჯობია არც იყოს სტადიონზე. ეს ზოგიერთი გულშემატკივარი იოტის ოდენა შეცდომასაც არ აპატიებს თავისი გუნდის მოთამაშეებს, ერთობ არაორაზროვანი, უხამსი გამოთქმებით მიმართავს მათ, უადგილო ადგილას უსტვენს და ზოგჯერ საქმე იქამდეც მიდის, რომ საკუთარ მეკარესაც მიმართავს კატეგორიული, უაზრო მოთხოვნით: „გაუშვი“...

თქვენ ნახეთ, რა მხარდაჭერა აქვთ ფეხბურთელებს ბაქოში, ერევანში, როსტოვში, დონეცკში, ოდესაში! ჩვენში ეს არ ხდება, ესე იგი თბილისის „დინამო“ გასვლით მატჩებს იმიტომ კი არ აგებს, რომ თავისი მაყურებლის რაღაც საგანგებო ხელშეწყობა და ექსტაზი აკლდება. არა. უბრალოდ — უცხო თვალის წინ ჩვენს გუნდს აკლია მობილიზება, პასუხისმგებლობის გრძნობა, მონდომება, შეგრძნება იმ მოვალეობისა, რომ ბრძოლის მოგება ხდება უშუალოდ მინდორზე და არა „აქაური“ თუ „იქაური“ ტრიბუნების გავლენით.

ცხადია, რომ თბილისის „დინამო“ სტუმრად ყოფნისას აჩვენებს თავის შესაძლებლობათა მხოლოდ მცირე ნაწილს, არაა ორგანიზებული, არ მიაჩნია საჭიროდ იბრძოლოს თავგანწირვით და მაქსიმალური ენერგიით. ხომ ნახეს ეს ფეხბურთის მოყვარულებმა ბაქოდან და ერევნიდან წარმოებული ტელეტრანსლაციისას, რომ არაფერი ვთქვათ ტაშკენტის მატჩზე, სადაც ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი (უფრო სწორად — უმრავლესობა) დემონსტრაციულად თავს არიდებდა ბრძოლას და ჩრდილს ეძებდა.

გაიხსენეთ ჩემპიონატის მსვლელობა: რამდენჯერ ედგა თბილისის „დინამო“ სათავეში გათამაშების ცხრილს, რამდენჯერ იყო ოქროს მედლების პირველი პრეტენდენტი და ყოველთვის სწორედ გადამწყვეტ მომენტში უღალატა... საკუთარ თავს. დიახ, საკუთარ თავს, ვინაიდან ის ოქროს მედლები უნდა მიიღონ მათ და არა ჩვენ, მაყურებლებმა.

ძალიან საწყენია დინამოელთა ეს ინდიფერენტულობა და უუნარობა მეტოქეთა მინდვრებზე. იქ მათ მოელიან როგორც დიდ საფეხბურთო მოვლენას, ძლიერ, საინტერესო, ორიგინალურ გუნდს, რომლის ნახევარი სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების წევრია. ეს მოლოდინი არ მართლდება. მას არ ამართლებენ თვით ჩვენი ფეხბურთელები, რომლებიც მეტისმეტად ცუდად თამაშობენ სტუმრად.

„ლელოს“ რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, სადაც ფეხბურთის მოყვარულები წუხან თბილისის „დინამოს“ ამ გაუმართლებელ ჩავარდნას, მოითხოვენ მის გამოსწორებას. ასეთი წერილების ავტორები არიან, მაგალითად, ინჟინერი თ. ცერცვაძე რუსთავიდან, ზ. ანდრიაძე სამტრედიიდან, რუსთავის ქიმკომბინატის თანამშრომლები ი. ლაზარაშვილი, ე. გუაჩიძე, გ. მაისურაძე, თ. ქობიაშვილი. ბათუმელმა ვ. ხატიაშვილმა თავისებური „სამგლოვიარო“ ლექსიც კი გამოგზავნა დინამოელთა მისამართით. ყველას ეს აწუხებს: რატომ თამაშობს თბილისის „დინამო“ ასე სუსტად მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე? ხომ ვერ შეიძლება ფეხბურთელი თავისი კლასით, ტექნიკით და ტაქტიკური უნარით ასე უცებ ქვეითდებოდეს, როცა საკუთარ მინდორს ტოვებს?

რა თქმა უნდა, არა. მიზეზი ერთი შეიძლება იყოს: პასუხისმგებლობის ნაკლები გრძნობა, მოუნდომებლობა, პასიურობა, ნებისყოფის მოდუნება. ყოველივე ამას ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენს გუნდს წინა აქვს უპირველესი მნიშვნელობის 3 მატჩი მოსკოვში: „სპარტაკთან“, „ტორპედოსთან“ და ცსკა-სთან. რეაბილიტაციის საშუალება ჯერ კიდევ არის.

ახლა ორიოდე სიტყვა როსტოველებთან მატჩზე. პირველი ნახევარი მასპინძლებმა თავიანთ შესაძლებლობაზე დაბლა ჩაატარეს, თუმცა უპირატესობა, უდავოდ, მათ ეკუთვნოდათ და ანგარიშის გახსნის შესაძლებლობაც საკმაოდ იყო. მართალია, კუდასოვმა დაუფასებელი სამსახური გაუწია საკუთარ გუნდს და უმძიმეს სიტუაციებში იხსნა იგი, მაგრამ შეტევის დასასრული „დინამოს“ თავდამსხმელებს აშკარად არ უვარგოდათ.

თითქოს აბსოლუტურ უპირატესობას მიაღწიეს დინამოელებმა მეორე ტაიმში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზინჩენკოს ორიოდე გარღვევას, სტეფანიას საქმე თითქმის არა ჰქონდა, კუდასოვი კი ისევ და ისევ იღებდა უმწეო ბურთებს — ბრძოლა სტუმრების საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობდა.

ანგარიშის გახსნაში თბილისელებს ისევ მეტოქე დაეხმარა. 72-ე წუთზე მინდვრის სიღრმიდან ბურთი გაიგზავნა მარცხენა ფლანგზე ლ. ნოდიას მისამართით. ჯერ მირონოვმა ააცილა მას ფეხი, მერე გეტმანოვს მოუვიდა ელემენტარული შეცდომა და ბურთი მაინც მოხვდა ლ. ნოდიასთან. მარცხენა გარემარბის დარტყმა ძლიერი და ზუსტი იყო — 1:0.

7 წუთის შემდეგ გარღვევაზე გასული ლ. ნოდია კარის წინ მოცელეს. 11-მეტრიანის შესრულება გუნდმა მიანდო თავის საუკეთესო ბომბარდირს — გ. ნოდიას. 2:0.

ასეა, როცა შინ ვთამაშობთ...

ზ. ქორქია.

## ქალაქები, გოლები, ქულები

გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

უაღრესად საჭირო გამარჯვება მოიპოვა „ზენიტმა“ 23 სექტემბერს „ჩერნომორეცთან“ შეხვედრაში. ლენინგრადელები მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ მეტოქეს და მიზანსაც მიაღწიეს — 4:1, თუმცა მათ ამ მატჩში 5 გოლი გაიტანეს. მაშინ, როცა ანგარიში იყო 4:0 (კოზი — 2, უნანოვი, გონჩაროვი), „ზენიტის“ მცველმა ბულავინმა კუთხურის გათამაშების შემდეგ თავით გაგზავნა ბურთი საკუთარ კარში.

24 სექტემბერს ყურადღების ცენტრში იყო მატჩი მოსკოვში არმიელებსა და კიევის „დინამოს“ შორის. ცსკა-მ შეძლო გამარჯვების მოპოვება მინიმალური ანგარიშით (1:0), მაგრამ ამ წარმატებაში მათ ხელი პირველ ყოვლისა დინამოელებმა შეუწყვეს: მასლიაევის დარტყმულ ბურთს მიმართულება შეუცვალა ლევჩენკომ და საკუთარ კარში გაგზავნა იგი.

ახალ გამარჯვებას მიაღწია „ზარიამ“, რომელიც ერევანში ეთამაშა „არარატს“. მატჩი უკვე იწურებოდა, როცა ლისაკოვსკიმ მასპინძელთა კარში გაგზავნა ბურთი. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე „არარატს“ მიეცა ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ ზანაზანიანმა ძელს მოახვედრა 11-მეტრიანი საჯარიმოდან დარტყმული ბურთი.

# ლიდერთან ვერაფერს გახდნენ

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 28 სექტემბერი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 5:1 (3:0).

„დინამო“: პილგუი, შტაპოვი, სმირნოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ეშტრეკოვი (ლარინი), კოზლოვი, ავრუცკი, უტკინი (სიომინი), ევრიუჟიხინი.

„ტორპედო“: გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანფიმიადი (ქიქავა), სანაია, ხერხაძე, ნაჭყებია (ვეკუა).

მსაჯი ა. ცაპოვეცკი (კიევი).

დუბლიორები — 6:0 „დინამოს“ სასარგებლოდ.

პროგნოზი მატჩის წინ ასეთი იყო: ლიდერს — მოსკოვის „დინამოს“, რომელსაც ახლა ძლიერ კონკურენციას უწევს რამდენიმე გუნდი, არ უნდა დაეკარგა ქულა აუტსაიდერთან ბრძოლაში, თუმცა ასეთივე პროგნოზს შეეძლო ის ეწინასწარმეტყველა, რომ ქუთაისელები, რომლებიც საერთოდ კარგად თამაშობენ მოსკოვის „დინამოსთან“, მთელ თავიანთ შესაძლებლობებს ჩააქსოვდნენ ამ მატჩში და შეეცდებოდნენ თუნდაც 1 ქულის აღებას.

მაგრამ ტორპედოელებმა ვერ შეძლეს ეჩვენებინათ თავიანთი მაქსიმუმი და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი, ამასთან დიდი ანგარიშითაც.

ყურადღებას იპყრობს ის შეცვლები, რომლებიც მოხდა ორივე გუნდში. მასპინძლებმა მინდორზე გამოიყვანეს ლარინი და სიომინი მაშინ, როცა მატჩის ბედი ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილი იყო, და ამ შეცვლით ფეხბურთელებს ერთით მეტი თამაშის ჩატარების საშუალება მისცეს. რაც შეეხებათ სტუმრებს, მათ შესვენების შემდეგ ბრძოლაში ჩააბეს ქიქავა და ვეკუა, ესე იგი, ორი თავდამსხმელი, იმ იმედით, რომ ისინი გარდატეხას შეიტანდნენ თამაშში. მაგრამ ეს არ მოხდა — „ტორპედომ“ ვერ შექმნა კონტრთამაში. მეტსაც ვიტყოდი: ქუთაისელები რატომღაც თავიდანვე უხალისოდ თამაშობდნენ და წასაგებად განწირული ჩანდნენ. და ეს მაშინ, როცა მათი მეტოქე ყველაფერს აკეთებდა გამარჯვების მოსაპოვებლად. აი, „ტორპედოს“ შესანიშნავი შანსი მიეცა ანგარიშის გასახსნელად, მაგრამ სანაიამ გოლის გატანას კიდევ ერთი მეტოქის მოტყუება არჩია და დაკარგა ნაღდი ბურთი.

ამის შემდეგ მინდვრის ბატონ-პატრონი დინამოელები იყვნენ. მე-19 წუთზე ევრიუჟიხინმა კარის წინ ჩააწოდა თავისუფალი დარტყმა, ბურთს მიუსწრო ანიჩკინმა და თავით გაგზავნა იგი ბადეში. წუთის შემდეგ ტორპედოელთა კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ კოზლოვის დარტყმა კარს აცდა.

25-ე წუთზე პილგუიმ გადაარჩინა თავისი კარი ანფიმიადის ძლიერი დარტყმის შემდეგ. გავიდა ცოტა ხანი და კოზლოვმა კარგად ისარგებლა მოპირდაპირე კართან შექმნილი არეულობით, ხოლო ტაიმის დასასრულს მანვე ანგარიში აიყვანა 3:0-მდე.

შესვენების შემდეგ მასლოვის ზუსტმა დარტყმამ კვლავ მიაღწია მიზანს, 68-ე წუთზე კი ავრუცკის დარტყმის შემდეგ გოგიას კიდევ ერთხელ მოუხდა ბურთის გამოტანა ბადიდან.

ოქროპირაშვილის საპასუხო გოლი 85-ე წუთზე ერთადერთი იყო ქუთაისელთა მხრივ.

ვ. პავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი. კორ.).

## გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 25 | 14 | 6 | 5 | 39—17 | 34 |
| ცსკა | 24 | 14 | 4 | 6 | 37—15 | 32 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 25 | 10 | 11 | 4 | 38—20 | 31 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 25 | 10 | 10 | 5 | 25—20 | 30 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 11 | 7 | 6 | 32—20 | 29 |
| „დინამო“ (კიევი) | 26 | 12 | 4 | 10 | 28—23 | 28 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 24 | 9 | 9 | 6 | 25—25 | 27 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 25 | 6 | 13 | 6 | 21—22 | 25 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 23 | 7 | 10 | 6 | 20—14 | 24 |
| „არარატი“ (ერევანი) | 24 | 9 | 6 | 9 | 22—23 | 24 |
| „დინამო“ (მინსკი) | 24 | 7 | 9 | 8 | 26—23 | 23 |
| „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 25 | 6 | 9 | 10 | 17—37 | 21 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 25 | 7 | 6 | 12 | 24—36 | 20 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 24 | 7 | 6 | 11 | 25—43 | 20 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 26 | 4 | 10 | 12 | 18—30 | 18 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 24 | 5 | 7 | 12 | 19—33 | 17 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 25 | 4 | 7 | 14 | 22—37 | 15 |

I ჯგუფი

23 და 24 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

ყაზანში თბილისის „ლოკომოტივმა“ წააგო თამაში ადგილობრივ „რუბინთან“ — 0:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: ასკ (კიევი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 3:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)—„პამირი“ (დუშანბე) 2:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:0, „დინამო“ (ლენინგრადი) —„ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 1:1, „ყაირათი“ (ალმაათა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:0.

II ჯგუფი

II ზონა

23 სექტემბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

ბათუმის დინამოელებმა ფრედ (0:0) ითამაშეს ბელგოროდში „სალუტთან“, ხოლო გორის „დილამ“ წააგო ლიპეცკის „მეტალურგთან“ — 0:1.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ლოკომოტივი“ (კალუგა) — „დინამო“ (კიროვაბადი) 1:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 2:1, „მეტალურგი“ (ტულა) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:2, „ვოლგა“ (კალინინი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) —„მაშუკი“ (პიატიგორსკი) 0:2, „სატურნი“ (რიბინსკი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 0:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0, „ვოლგა“ (გორკი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 1:0, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0.

„ბ“ კლასი

II ზონის I ქვეჯგუფი

გატყობინებთ 21 სექტემბერს გამართული ტურის შეხვედრათა შედეგებს: „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0, „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 3:2, „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) — „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) 1:3, „სპარტაკი“ (რიაზანი) — „სპარტაკი“ (სარანსკი) 1:1.

# ჰ. მიულერი — „ოქროს ბუცის“ მფლობელი

ფრანგულ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლს“ დაწესებული აქვს საგანგებო ჯილდო ევროპის საუკეთესო ბომბარდირისთვის. ამ პრიზს ეწოდება „ოქროს ბუცი“.

პრიზი წლეულს გადაეცა დასავლეთ გერმანიის ცნობილი კლუბის „ბაიერნის“ (მიუნჰენი) თავდამსხმელს ჰერდ მიულერს.

23 წლის ჰ. მიულერის თამაშს ალტაცებული ადევნებდა თვალს ფეხბურთის მილიონობით მოყვარული, რომლებიც ტელევიზიით უყურებდნენ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს მექსიკაში. იქ მან საუკეთესო სნაიპერის სახელი მოიხვეჭა და 10 ბურთი გაიტანა. მაგრამ „ოქროს ბუცი“ მიულერს მიენიჭა გფრ-ის ჩემპიონატში თამაშისთვის, სადაც მან 34 მატჩში 38-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. საინტერესოა, რომ მიულერი თავის ქვეყანაში მესამედ ხდება საუკეთესო ბომბარდირი ბოლო წლების მანძილზე.

„ვერცხლის ბუცი“ მიიღო ლუქსემბურგელმა დევილმა, ხოლო „ბრინჯაოსი“ — ბულგარელმა ჟეკოვმა.

ევროპის უძლიერესი კლუბის პრიზი გადაეცა შოტლანდიის ჩემპიონს — გლაზგოს „სელტიკს“.

ამ ცნობას ისლა დაგვრჩენია დავუმატოთ, რომ, როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება პარიზიდან, ჰ. მიულერმა ვერ შეძლო საზეიმო ცერემონიალზე გამოცხადება „ფრანს ფუტბოლის“ პრიზის მისაღებად: ტრავმამ იგი ლოგინს მიაჯაჭვა და „ოქროს ბუცი“ მისმა მეუღლემ ჩაიბარა.

# საერთაშორისო შეხვედრა

23 სექტემბერს ორჯონიკიძეში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო უნგრეთის „ვაშაში“. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 3:2.

# ლიდერთა ჯგუფი

**ზიგენი, 24 სექტემბერი.** XIX საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის IX ტურში სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა არგენტინის წარმომადგენლებს. გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: სსრ კავშირი—პეტროსიანი, კორჩნოი, პოლუგაევსკი, გელერი; არგენტინა — ნაიდორფი, პანო, კვინტეროსი, რუბინეტი.

შესვენებისთვის მხოლოდ პეტროსიან — ნაიდორფისა და კორჩნოი — პანოს შეხვედრები დამთავრდა. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო.

ამ დღის დანარჩენ ლიდერთა მატჩების შედეგები ასეთია: იუგოსლავია — გდრ 2:1 (1), ჩეხოსლოვაკია — აშშ 1,5:1,5 (1), უნგრეთი — ესპანეთი 0:0 (4).

დღეს დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. სსრ კავშირ — არგენტინის მატჩში პოლუგაევსკი, შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, დამარცხდა კვინტეროსთან. სამაგიეროდ, გელერმა სძლია რუბინეტის და მატჩიც ყაიმით დამთავრდა — 2:2. ასეთივე ანგარიშით დასრულდა ჩეხოსლოვაკია — აშშ-ს მატჩი. ფიშერი და ჰორტი ყაიმზე შეთანხმდნენ.

უნგრელებმა მოუგეს ესპანეთის (2,5:1,5), იუგოსლაველებმა — გდრ-ის გუნდს (2,5:1,5).

• • •

**ზიგენი, 25 სექტემბერი.** საჭადრაკო ოლიმპიადის X ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა დამაჯერებლად სძლია კანადელებს — 3,5:0,5.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: იუგოსლავია — რუმინეთი 2,5:1,5, უნგრეთი — აშშ 1,5:1,5 (1 პარტია გადაიდო), ბულგარეთი — ესპანეთი 2,5:0,5 (1), გფრ — არგენტინა 1,5:1,5 (1), ჩეხოსლოვაკია — გდრ 1,5:1,5 (1).

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: სსრ კავშირი — 25,5 ქულა, იუგოსლავია — 23,5, უნგრეთი — 22,5 (1), აშშ — 22 (1), ჩეხოსლოვაკია — 21 (1).

# მაქს ეივე — ფიდე-ს პრეზიდენტი

ფიდე-ს 41-ე კონგრესის გენერალური ასამბლეის დასკვნით სხდომაზე მოეწყო მოჭადრაკეთა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელობის არჩევნები.

კონგრესმენებმა ფიდე-ს ახალ პრეზიდენტად აირჩიეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ეივე (ჰოლანდია). მანამდე პრეზიდენტები იყვნენ: ფიდე-ს დაარსებიდან (1924 წ.) 1949 წლამდე — ჰოლანდიელი ა. რიუბი, 1949-1970 წლებში — შვედი ფ. როგარდი.

მ. ეივე 69 წლისაა. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საჭადრაკო ტურნირებში. მისი წარმატებების მწვერვალია მსოფლიო ჩემპიონობა (1935-37 წ.წ.), რომელიც გენიალურ ა. ალიოხინთან მატჩში გამარჯვებით მოიპოვა. მას შემდეგ, რაც პრაქტიკულ გამოსვლებს თავი დაანება, ეივე აქტიურად მოღვაწეობს საჭადრაკო ცხოვრების სარბიელზე.

ეივე საბჭოთა მოჭადრაკეების დიდი მეგობარია. იგი ბევრჯერ ყოფილა სსრ კავშირში, 1968 წელს კი საქართველოშიც გვესტუმრა.

ფიდე-ს არსებობის ისტორიაში პირველად დაარსდა პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი. ამ თანამდებობაზე აირჩიეს პუერტო-რიკოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე რ. მენდესი.

ფიდე-ს მდივნად არჩეულია სლავეკორდე (ჰოლანდია), ხოლო ბიუროს წევრებად: კაჟიჩი (იუგოსლავია), შაიტარი (ჩეხოსლოვაკია) და ედმონსონი (აშშ), ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტებად— ზონებიდან (ფიდე-ს მსოფლიო 10 საჭადრაკო ზონად აქვს დაყოფილი): როდიონოვი (სსრ კავშირი), დორაზილი (ავსტრია), შუდელი (შვეიცარია), შაიტარი, კრამერი (აშშ), პრენტისი (კანადა), ბარერასი (კუბა), კლარი (პერუ), ნამჟილი (მონღოლეთი) და ხაზანი (ჰონკონგი).

ფიდე-ს ბიურო მოწოდებულია კონგრესებს შორის გადაწყვიტოს საჭადრაკო მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ფიდე-ს ცენტრალურ კომიტეტში ფიდე-ს ბიუროს ყველა წევრის, 10 ვიცე-პრეზიდენტის, აუდიტერ დელვერმეს (იტალია), მოლარე სმითისა (ჰოლანდია) და მსოფლიო ჩემპიონების ბ. სპასკისა და ნ. გაფრინდაშვილის გარდა არჩეული არიან: კოშიცკი (ავსტრალია), ცეპლერი (ისრაელი), ტუდეილა (ვენესუელა), შილერი, ლარსენი (ორივე — დანია), გოლომბეკი (ინგლისი), სტანჩევი (ბულგარეთი) და ჰაინიცე (გდრ).

საკვალიფიკაციო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცდა დორაზილი, მდივნად — პროფესორი ელო (აშშ), წევრებად — ფლორიანი (უნგრეთი), რაბარი (იუგოსლავია), სტანჩევი, სპასკი, ხირასი (ესპანეთი), დელვერმე, შტოკი (გფრ) და პროფესორი გუჯიუ (რუმინეთი).

თამაშის წესების კომისიამ განმარტება მისცა ეროვნული ფედერაციების მიერ დასმულ ზოგიერთ შეკითხვას. მაგალითად, იყო ასეთი შეკითხვები. როგორ მოვიქცეთ, თუ გადადებულ პარტიაში ჩაწერილი სვლით კონვერტი დაიკარგა, მაგრამ მეტოქენი თანახმა არიან აღადგინონ იგი? პასუხი: გააგრძელონ პარტია. რა უფრო ადრე უნდა მოხდეს — დაფაზე სვლა თუ მისი ჩაწერა ბლანკზე? ეს მოჭადრაკის უფლებაა (გაიხსენეთ, „საუკუნის მატჩში" ფიშერი პეტროსიანისგან ჯერ სვლის გაკეთებას მოითხოვდა).

იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციამ ფიდე-ს შესთავაზა ვაჟთა XX და ქალთა V ოლიმპიადები ჩატარდეს ერთდროულად ქალაქ სკოპლეში 1972 წელს. იქვე მოეწყოს ფიდე-ს კონგრესიც. ეს წინადადება მიღებულია.



**მოსკოვი.** სანიჩბოსნო სლალომი, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით XX ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია შეტანილი, საბჭოთა სპორტსმენებისთვის სიახლეა. შეჯიბრების პირობები თავისებურია: წყლის ნაკადის სისწრაფე ორ მეტრზე ნაკლები არ არის, ტრასაზე სხვადასხვა დაბრკოლება დგას, ზოგიერთი კარი სპორტსმენებმა დინების საწინააღმდეგოდ უნდა გაიარონ. ახპარეზობენ ბაიდარებითა და კანოებით. ამას წინათ მდინარე ლიხობორკაზე ჩატარდა მოსკოვის ჩემპიონატი სანიჩბოსნო სლალომში. ეს იყო ამ სახეობის წარმომადგენელთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება საბჭოთა კავშირში.

ს უ რ ა თ ზ ე: ტრასაზე არიან მოსკოვის ჩემპიონები ორადგილიანი კანოებით სლალომში ა. კუზმინი და ნ. კოროტკოვი („შრომითი რეზერვები").

ა. ზავარზინის ფოტო (საკდესი).

# ჩვენი მეგობრების ქვეყანაში

## ახალ მოტოდრომზე

**პოლტავა, 23 სექტემბერი.** მოტობურთელთა ადგილობრივი გუნდის „ვიმპელის" წევრებმა, რომლებიც ქვეყნის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობენ, შესანიშნავი სპორტული ბაზა მიიღეს. ახალი მოტოდრომი თითქმის 20 ათას მაყურებელს იტევს. მშენებლობისთვის თანხები გამოჰყო ქალაქის რამდენიმე საწარმომ და დაწესებულებამ. მოტოსტადიონის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობამ.

ცნობილი მოტობურთელი, სპორტის ოსტატი ი. ბულავიცკი ამბობს: — მოტოტრეკიცა და მოტობურთის მინდორიც თანამედროვე სტანდარტებს შეეფერება. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მოტოსტადიონია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპაშიც.

მოტოსტადიონის საზეიმო გახსნისას მაყურებლებმა ნახეს მოტოციკლისტებისა და კარტინგისტების რბოლები, შეჯიბრება მოტობურთში.

ი. შჩერბანი.

(საკდესის კორ.).

19 45

◆ **დუბლინი, 25 სექტემბერი.** პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ირლანდიის გუნდი. შესვენებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როცა სტახურსკიმ და შოლტისიკმა მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს.

◆ **იზმირი, 25 სექტემბერი.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდნენ ადგილობრივი „გიოზთეფეს" ფეხბურთელები, თუმცა შინ მარცხის სიმწარე იწვნიეს ლუქსემბურგის „უნიონთან" შეხვედრაში — 0:1. სამაგიეროდ, თურქებმაც სტუმრად გაიმარჯვეს, ოღონდ უფრო დიდი ანგარიშით — 5:0.

◆ **ნორვიჩი, 25 სექტემბერი.** მსოფლიოს ექს-ჩემპიონის — ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ უკვე დაიწყო გუნდის მზადება მომავალი მსოფლიო პირველობისთვის. ჩრდილოეთ ირლანდიის ლიგის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში მან პირველი კანდიდატები გამოცადა. ინგლისელთა კოლექტივმა, რომელშიც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მხოლოდ ორი მონაწილე (პიტერსი და ასთლი) იყო, ანგარიშით 5:0 სძლია მეტოქეს.

◆ **ბრიუსელი, 25 სექტემბერი.** ბალახზე ჰოკეის I ევროპულ ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა ნაკრებს სანუგეშო მატჩმა (IX-XVI ადგილებისთვის) უელსის გუნდთან ვერავითარი ნუგეში მოუტანა. ძირითადმა დრომ და ხუთმა დამატებითმა ტაიმმა (7,5-7,5 წუთი) გამარჯვებული ვერ გამოავლინა (0:0) და მეტოქეებმა 5-5 პენალტი დაარტყეს. იმარჯვეს უელსელებმა — 5:3. ამავე დღეს გაიმართა მეოთხედფინალური მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა: ესპანეთი — ბელგია 2:1, საფრანგეთი — შვეიცარია 2:0, გფრ — ინგლისი 1:0, ჰოლანდია — პოლონეთი 1:0.

19 45

# ფლოიდ პატერსონის დაბრუნება

მოკრივე პროფესიონალთაგან სპორტის ისტორიაში ბევრს არ დაუტოვებია ისეთი კვალი, როგორიც ფლოიდ პატერსონმა დატოვა. ამ ზანგმა ჭაბუკმა 17 წლის ასაკში მოიგო ჰელსინკის ოლიმპიადა და სულ 4 წლის შემდეგ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პროფესიონალთა შორის. იგი დიდების მწვერვალზეც ასულა და რინგის იატაკზეც დანარცხებულა. მან დაკარგა ჩემპიონის ტიტული და მალე დაიბრუნა იგი. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. პატერსონის ანგარიშზე მოდის 35 ნოკაუტი, მაგრამ მასაც ახსოვს ამერიკელების ს. ლისტონისა და მ. ალის, შვედი ი. იუჰანსონის მუშტები.

უკანასკნელად პატერსონი ჯ. ელისთან შესახვედრად 1968 წლის 14 სექტემბერს გამოვიდა რინგზე და გულდაწყვეტილმა დატოვა სარბიელი: მსაჯებმა მისი ახალგაზრდა მეტოქის უპირატესობა აღიარეს. მას შემდეგ 2 წელი გავიდა. და აი, ნიუ-იორკის სახელგანთქმული სპორტდარბაზის „მედისონ სკვერ-გარდენის" დირექტორმა კვლავ გამოაცხადა: „ფლოიდ პატერსონი და..."

35 წლის პატერსონის წინააღმდეგ იბრძოდა 28 წლის ჩარლი გრინი, მეტსახელად „ავი სული". ფლოიდი, რომელიც ბრძოლის ელეგანტური მანერით გამოირჩევა, თავიდან დაბნეული ჩანდა. მისი მეტოქე ცოტა შეზარხოშებულ, შარიან მოჩხუბარს უფრო ჰგავდა. ბოლოს და ბოლოს გამოცდილმა მოკრივემ შეძლო თავისი უპირატესობის დამტკიცება. მე-10 რაუნდში „ავი სული" ექს-ჩემპიონის მანოკაუტირებელი დარტყმის შემდეგ ფეხზე ველარ წამოდგა.

რატომ გადაწყვიტა პატერსონმა რინგზე დაბრუნება? იგი ხომ თავის დროზე საკმაოდ ბევრ ფულს იღებდა. საქმე ისაა, რომ მისი შემოსავლის დიდი ნაწილი მენეჯერებსა და ათასგვარ აბეზარ ხალხს ხმარდებოდა. ავადმყოფი ჯო ლუისის მსგავსად შესაწირავის მოგროვება ფლოიდმა არ ისურვა. ისე კი მას მხოლოდ რინგზე ბრძოლა შეუძლია. პროფესიულმა კრივმა სპორტსმენის ცხოვრების საუკეთესო წლები შეიწირა. ახლა ფლოიდი ისე ებღაუჭება რინგის ბაგირებს, როგორც წყალში ჩავარდნილი კაცი მაშველ რგოლს...

ვ. ვლადიმიროვი.

(საკდესის კორ.).

ნიუ-იორკი.

# კვლავ დედამიწის გარშემო

ლონდონის ჟურნალმა „იახთინგ ენდ ბოათინგ უიკლიმ" გადაწყვიტა ჩაატაროს რბოლა დედამიწის გარშემო, რომელშიც ყველა ტიპისა და კლასის აფრიან ნავებს შეუძლიათ მონაწილეობა. ორგანიზატორებს განზრახული აქვთ ამ შეჯიბრებას სტარტი 1973 წლის ზაფხულში მისცენ. ისინი ფიქრობენ, რომ პირველი ეტაპი—ინგლისის ნავსადგურ პლიმუტიდან სიდნეიმდე კეთილი იმედის კონცხის გავლით და შემდეგ ბუენოს-აირესისკენ 6-დან 7 თვემდე გასტანს. დასკვნით ეტაპს — სამხრეთ ამერიკიდან კვლავ პლიმუტისკენ — მრბოლელები დაამთავრებენ 1974 წლის პირველ მეოთხედში.

მაშ ასე, ინგლისელებმა, რომლებიც თაოსნები არიან ბოლო წლებში ჩატარებული ერთეულ აფროსანთა მოგზაურობისა, აგრეთვე, ლონდონიდან სიდნეიმდე და ლონდონიდან მეხიკომდე გამართული მარათონული ავტოგადარბენებისა, სპორტის მოყვარულთ კიდევ ერთი უჩვეულო შეჯიბრება შესთავაზეს.

ასეთი რბოლის მომზადება იოლი საქმე როდია. მაშ რატომ არ გამოაცხადეს ორგანიზატორებმა ეს ამბავი აქამდე? ჟურნალის დირექტორ-განმკარგულებელი ა. ჩერჩილი ამბობს: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ სტარტამდე დარჩენილი ვადა სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ რბოლაში მონაწილეობა არ მიიღოს... მეტისმეტად ბევრმა აფროსანმა".

ორგანიზატორთა შიში, როგორც ჩანს, უსაფუძვლო არ არის. ამ დიდ შეჯიბრებაში გამოსვლას აფროსნობის ბევრი ოსტატი მოისურვებს. სპეციალისტთა აზრით, განაცხადები მაინც საკმარისი იქნება. ზოგიერთი სპორტსმენი შეიძლება ვერც მოემზადოს შესაფერისად საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის, მაგრამ მათ იმედი ექნებათ, რომ უინციდენტებოდ გაივლიან თუნდაც პირველ ეტაპს.

უკვე ცნობილია, რომ რბოლის მონაწილეთა შორის იქნება სახელგანთქმული ინგლისელი აფროსანი რ. ნოქს-ჯონსონი, რომელმაც ისტორიაში პირველმა იცურა მარტოდმარტომ დედამიწის ირგვლივ აფრიანი ნავით.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. შ 1057